სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

57289475276421

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N210673213

რეგისტრაციის თარიღი

30.06.2021 წ

ნოტარიუსი: ნინო მათუაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 10

ტელეფონი: 2 38 36 32 591 70 99 74

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას ოცდაერთი წლის ოცდაათ ივნისს მე, საქართველოს ნოტარიუსს ნინო მათუაშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში მდებარე მისამართზე: საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. #10 მომმართა **შპს გეა“-ს** (ს/კ 201951209) დირექტორმა **ირინა ჭელიძემ** (დაბ. 04.02.1957წ., პირადი #01024002610, რეგისტრირებული მისამართზე: ქალაქი თბილისი, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩა, კორპუსი 1, ბინა 98). მან მოითხოვა მინდობილობის შედგენა **თორნიკე ჭელიძის** (დაბადებული 01.06.1983წ. პირადი № 01008020581, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი დ.არაყიშვილის II ჩიხი N 11 ბ. 1) სახელზე და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე დავადგინე მხარის პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის მოწმობის და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზის საფუძველზე და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **ირინა ჭელიძემ** მომმართა. მე შევამოწმე მხარის ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს, მისი უფლებამოსილება **შპს „გეა“-ს ამონაწერი თმეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომლის მომზადების თარიღია 24.09.2020წ.** მე დავადგინე მხარის ნების გამოვლენის ნამდვილობა და შევადგინე მინდობილობის ტექსტი, რომელიც წავუკითხე მხარეს, განვუმარტე მისი შინაარსი და მინდობილობაზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, მათ შორის ის გარემოება, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა და რომ ამ მინდობილობის **თორნიკე ჭელიძის** სახელზე გაცემით ეს უკანასკნელი უფლებამოსილია განახორციელოს მინდობილობით მინიჭებული უფლებები. **ირინა ჭელიძემ** პირადად წაიკითხა წინამდებარე მინდობილობა, მოიწონა ის და განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას. შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე - **შპს გეა“-ს** (ს/კ 201951209) დირექტორი **ირინა ჭელიძე** (დაბ. 04.02.1957წ., პირადი #01024002610, რეგისტრირებული მისამართზე: ქალაქი თბილისი, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩა, კორპუსი 1, ბინა 98) ამ მინდობილობით უფლებას ვაძლევ **თორნიკე ჭელიძეს** (დაბადებული 01.06.1983წ. პირადი № 01008020581, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი დ.არაყიშვილის II ჩიხი N 11 ბ. 1), რათა მან შპს „გეა“ წარმოადგინოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან და სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან ურთიერთობისას. **თორნიკე ჭელიძეს** (პ/ნ 01008020581) უფლება აქვს, შპს „გეა“-ს საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე შეათანხმოს სამშენებლო და სახვა სახის პროექტები, აიღოს სამშენებლო ნებართვა, გააკეთოს განცხადებები, მიიღოს დოკუმენტები, ვებგვერდზე ატვირთოს დოკუმენტები, გადაიხადოს ბაჟი, მოსაკრებელი. ეს მინდობილობა გაცემულია **ორი თვის ვადით,** შემდგომი გადანდობის უფლების გარეშე. მინდობილობა გაცემულია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუსის არქივში. მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება ნოტარი-უსის არქივში თან ერთვის შემდეგი დოკუმენტი: **შპს „ბეიბი ლაინი“-ს ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომლის მომზადების თარიღია 24.09.2020წ.;**

გადახდილია საზღაური 13,80 (ცამეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი: აქედან 10 (ათი) ლარი 29.12.2011 წლის საქართველოს მთავრობის #507 დადგენილების სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 31-ე მუხლის თანახმად და 2 (ორი) ლარი იმავე დადგენილების 39-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სანოტარო მოქმედების ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციის საფასური და 1,80 (ერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი დღგ თანახმად საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა.

ირინა ჭელიძე _____

შპს „გეა“-ს დირექტორი

ნოტარიუსი ნინო მათუაშვილი

საქართველო. ნოტარიუსი ნინო მათუაშვილი GEORGIA. NOTARIUS NINO MATUASHVILI NOTARY 35001013055